№ 211

შაბათი, 11 ოქტომბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 211

შაბათი, 11 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

## კახელ მევენახეთა საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 27 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება ს. კისისხევს თ-დ ი. და ს. ქობულაშვილების სახლში.

განსახილველი საგნები: გადაშინჯვა და დამტკიცება: წლიური ანგარიშისა, რიცხვთ-აღნიშვნისა, დამფასებელ კომისიის ინსტრუქციისა; არჩევა: სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა და გამგეობის თავმჯდომარისა, ბადლად გარდაცვალებულის თ-დ დ. ი. ავალიშვილისა. (3—1)

ქართული თეატრი

კვირას, 12 ოქტომბერს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ეფ. ს. მესხის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## მადამ-სანჟენ

კომ. 4 მოქ. სარდუსი, თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხისა, გამყრელიძისა, კარგარეთელისა, რჩეულოვისა, საყვარელიძისა და სხვანი. ბ-ნნი აბაშ-ძე, მესხი, კანდელაკი, შათირიშვილი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, თამაზიშვილი, საფაროვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა** ამითი აცხადებს, რომ ამა წლის გაზეთ „კავკაზის“ მე-247, 248 და 249 №№-სა და „ივერიის“ მე 194, 195 და 196 №№-ში დაბეჭდილ, სესხის გარდასახადთა დროზედ შემოუტანლობისა გამო სხვა-და-სხვათა მამულის გაყიდვის შესახებ განცხადებაში შეცდომით საჯარო ვაჭრობის დღედ დასახელებული იყო **23 ოქტომბერი**, უნდა ყოფილიყო-კი **23 ნოემბერი**, რადგან ამ დღეს მოხდება საჯარო ვაჭრობა გაზ. „კავკაზისა“ და „ივერიის“ ზემოდ დასახელებულს ნომრებში გამოცხადებულის მამულებისა. (3—6.—2)

### მთავრობის განკარგულებანი
### სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

ბ. გამგეობა

§ 44. ამხანაგობის ყველა საქმეს განაგებს პირდაპირ გამგეობა, რომელიც იმყოფება. . . . . და რომლის წევრნიც ინაწილებენ საქმეებს ერთმანეთ შორის მორიგებისამებრ. მხოლოდ დირექტორს—გამგეს, რომლის პირდა-პირ მოვალეობას ამხანაგობის მოქმედებათა გამგეობა შეადგენს, და იმის მოადგილეს, ირჩევს საზოგადო კრება გამგეობის წევრთა შორის (§ 42).

§ 45. თუ გამგეობის რომელმამე წევრმა თავი დაანება თანამდებობას, ავად გახდა ან სხვაგან წავიდა, თავმჯდომარე იწვევს კანდიდატს იმის მოადგილედ. კანდიდატს იწვევს თავმჯდომარე იმ ხმის უმეტესობის მიხედვით, რომელიც მიუღია თითოეულს მათ შორის არჩევანის დროს და მოწვეული იგი აღასრულებს თანამდებობას ან იმ დრომდე, ვიდრე ავადა გაუვა გამგეობის იმ წევრს, რომლის მაგიერადაც კანდიდატია მიწვეული, ან კიდევ იმ ვადის გასვლამდე, რა ვადითაც თითონვე არის არჩეული.

§ 46. გამგეობის წევრნი ირჩევენ ყოველ წელიწადს თავიანთ შორის თავმჯდომარესა და იმის მოადგილეს; თავმჯდომარე იწვევს გამგეობას სხდომაზედ საჭიროებისამებრ, გარნა ყოველს შემთხვევაში ერთხელ მაინც უნდა შეკრებეს გამგეობა ერთის თვის განმავლობაში; ამის გარდა, თავმჯდომარე იწვევს კრებას მაშინაც, როცა ამას გამგეობის ერთ-ერთი წევრი მოითხოვს.

§ 47. გამგეობის დადგენილება რომ კანონიერი იყოს, საჭიროა სხდომას დაესწროს სამს წევრზედ არა ნაკლები; ამასთანავე საქმეები უნდა გადასწყდეს უბრალო ხმის უმეტესობით; ხოლო, თუ ვინიცობაა ხმათა რიცხვი თანაბრად გაიყო და გაიწონა, თავმჯდომარის ხმა ჰსჭრის სასწორსა, უკეთუ ერთ ერთი წევრი გამგეობისა რომელისამე საგნის გადაწყვეტის დროს ცალკე აზრისაა, შეუძლიან მოითხოვოს, რომ ეს მისი აზრი ოქმში იქმნას მოხსენებული და ამით იგი განთავისუფლებულ იქმნება დადგენილ გადაწყვეტილების პასუხისგებისაგან.

§ 48. დირექტორს-გამგეს და გამგეობის წევრებს ეძლევათ გასამრჯელო იმ რაოდენობისა, რა რაოდენობასაც საზოგადო კრება გადასწყვეტს.

§ 49. გამგეობის ხელშია ამხანაგობის ყოველი გასარიგებელი და აღსასრულებელი საქმე, რომელსაც ისე განაგებს, როგორც ეს წესდება და საზოგადო კრების დადგენილებანი მოითხოვენ. იმისს მოვალეობას განსაკუთრებით შეადგენს: ა) შეძენა, საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, უძრავ ქონებათა, აგრეთვე დაქირავება ამხანაგობისათვის საჭირო სადგომებისა და კაცებისა; ბ) ხელშეკრულებათა და პირობათა დადება, აგრეთვე სესხად აღება ფულისა, ხოლო ისე კი, რომ ეს ფული არ აღემატებოდეს ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრების მიერ სესხად აღებულის ფულისათვის განსაზღვრულს რაოდენობას; გ) მომზადება და შესყიდვა ამხანაგობისათვის საჭირო საგნებისა და მისი თვალ-ყურის დაჭერა, აგრეთვე საშუალებათა ხმარება იმისათვის, რომ სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა გაყიდვის საქმე უზრუნველ-ყოფილი იყოს; დ) დანიშვნა საქონლის სავაჭრო ფასისა და მათი გასყიდვა; ე) დაზღვევა როგორც ამხანაგობის საქონლისა და ქონებისა, ისე იმ ქონებისაც, რომელიც ამხანაგობას რწმუნებული აქვს გასასყიდათ ან სხვა რაიმე აზრით. ვ) მიღება ყოველგვარის შესატანისა და გარდასახადისა, ხარჯვა ფულისა საზოგადო კრების-მიერ დამტკიცებულის ხარჯთ აღრიცხვის თანახმად, შენახვა და გაცემა ამხანაგობის თანხათა, რომლის წესიერად მოუვლელობისათვის პასუხს აგებს კანონის ძალით. ამხანაგობის ფულის საკრედიტო დაწესებულებებში შეტანა და მათი უკანვე გამოტანა. ზ) წარმოება ამხანაგობის ყოველის საქმისა, რაც-კი ფულსა და მიწერ მოწერას შეეხება. შემოწმება ყოველ თვიურად ამხანაგობის შემოსავლისა და გასავლისა, შედგენა ყოველ თვიურის და წლიურის ბალანსებისა, აგრეთვე შედგენა ამხანაგობის მოქმედებათა ანგარიშისა და მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვისა: თ) წარმოება ამხანაგობისა ყველა საქმისა და სასამართლოში აღ-

*) იხ. „ივერია“ № 210.

## ფელეტონი

### ვ ს ეძახიან „ჩინებულს“ კაცს.

(ერიკ ვეგის მოთხრობიდგან)

ეჭვი არ არის, მარტო ერთი სახელი „კაცი“ ჩვენს დროში ვერაფრად სასახელოა. აი დამტკიცებაც: „კაცნი ვართო“, ვამბობთ ხოლმე, როცა დავაშავებთ რასმე და გვინდა თავი გავიმართლოთ. ქუჩაში რომ ვინმემ დაგიძახოს: „ეი, კაცო!“-ო, უეჭველად გეწყინება. უცნობ კაცზე რომ იკითხო, ვინ არისო და გითხრან: „კაცი არისო“, ამ პასუხს არ იკმარებ. საზოგადოდ-კი ადამიანზედ მხოლოდ მაშინ იტყვიან „კაციაო“, თუ ან კარგს სამსახურშია, ან მდიდარია, ან მდიდარი ცოლი შეირთო, ან ლამაზი. ამიტომ სიტყვას „კაცი“ უეჭველად ზედ-ნადებიც უნდა. მაგალითად, თუ კაცი სახლის პატრონს ყოველ თვე ქირას თავისს დროზე აძლევს, საღამოთი ფეხ-აკრებით ადის კიბეზედ თავისს ოთახში და ხმაურობით არავის აწუხებს, „კარგს კაცს“ უწოდებენ, თუ საზოგადოებაში რიგიანად უჭირავს თავი, არა ლოთობს და არა ქურდობს, „პატიოსან კაცს“ ეძახიან. თუ ორიოდე ლექსი დაუწერია,—„ნიჭიერს“, თუ რომელისამე საზოგადოების წევრად არის,—„საზოგადო მოღვაწე კაცს“.

ყველაზედ უფრო კარგი სახელი-კი ჩემის აზრით „ჩინებული“ კაცი უნდა იყოს. სწორედ ბედნიერია ის კაცი, ვინც „ჩინებულის“ კაცის სახელს ატარებს. რომელ ოჯახში მივა, რომ კარი ღია არ დაუხვდეს და სიამოვნებით არ მიიღონ. მერე თუ გასათხოვარი ქალებიც არიან ამ ოჯახში, სულ ხელის გულზედ ატარებენ. დიასახლისი სიხარულით ამბობს: „რა ჩინებული კაცია!“ მასპინძელი: „დიაღ, ჩინებული კაცია!“ ქალები (ოხვრით): „ჰო, ჩინებული კაცია!“ მამიდები და დეიდები: „ღმერთო ჩემო, რა ჩინებული კაცია!“

ასეთის „ჩინებულის“ კაცის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს: ეპატიჟებიან სადილად, ვახშმად, ქაღალდის სათამაშოდ. მამები სცდილობენ კარგი სამსახური უშოვონ, ვაჟიშვილები უმეგობრდებიან, ქალიშვილები ეარშიყებიან, ბავშვები „ძიას“ ეძახიან.

მე მგონია, რომ მკითხველს ძლიერ ესიამოვნება შეიტყოს, როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომ „ჩინებულის კაცის“ სახელი დაიმსახუროს. იქნება ჰშიშობთ კიდეცა და ჰფიქრობთ, ვაი თუ ძლიერ ძნელი იყოს ასეთის სახელის დამსახურებაო. დამშვიდდით! „ჩინებულის“ კაცის სახელის მოსაპოვებლად არ არის საჭირო არც ნიჭი და არც დიდი შრომა, არც სამსახური; ეს სახელი ისე ადვილად ეძლევა კაცს, როგორც მაგალითად, „კოლლეჟსკი რეგისტრატორის ჩინი (სიტყვა ჩინი რუსული კი არა, ქართული უნდა იყოს. ჩინი კაცს აჩენს. იქმნება ამიტომ არის, რომ ჩვენში ბევრს „ჩინიანი“ კაცი „ჩინებული“ ჰგონია). „ჩინებულის“ კაცის სახელის დამსახურება ყველას შეუძლიან. საჭიროა მხოლოდ ერთი პირობა.

მოწყალენო ხელმწიფენო, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ შემდეგს სიტყვებს:

„არა წინ აღსდგე“!..

ეს მცნება კარგად უნდა ჩაიბეჭდოს გულში ახალგაზდა კაცმა, როდესაც ან სხვის ოჯახში მიდის, ან ხელში კალამს იღებს, ან ვისმეს ელაპარაკება. თუ ამ მცნებას მტკიცედ მისდიეთ, სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენზედ ყველგან იტყვიან: კეთილი ქვეშევრდომია, კეთილი მოქალაქეა, კეთილი მეგობარია, კეთილი მეუღლეა, ერთის სიტყვით—„ჩინებული კაციაო“!

„არა წინ აღსდგე“! კარგად დაიხსომეთ ეს მეთერთმეტე მცნება! თუ ჩვეულებას წინ აღუდექი, თავ-ქეიფა კაცს დაგარქმევენ, თუ საზოგადოების აზრსა და ფიქრს გაუწიე წინააღმდეგობა, რევვენს დაგარქმევენ, თუ მოდას უღალატე და ისეთი ტანთსაცმელი არ ჩაიცვი, როგორიც სხვებს აცვია,—მასხარას დაგიძახებენ, რა ჭკუაა, რომ იარო და ამტკიცო, ჩვენი კანონმდებლობა არ ვარგაო, ცუდი ჩვეულება გვაქვსო, საზოგადოება სწორე გზას არ ადგიაო, ეს „მოდა“ კარგი არ არისო! რა გამოვა ამით? ვთქვათ, ფონს გახვედით: კანონმდებლობაც შესცვალეთ, ჩვეულებაც, „მოდაც“. მერე რაო? შეიძლება, დიდი კაცი დაგარქვან, მაგრამ „ჩინებულ“ კაცად მაინც არავინ ჩაგთვლისთ.

მართლაც-და, წარმატებისათვის ბრძოლა სახეიროს არაფერს მოგანიჭებთ. ეს იმითიც მტკიცდება, რომ რაც ხანში შედის კაცი და გამოცდილება ემატება, იმდენად უფრო კმაყოფილია საზოგადოების წეს-წყობილებისა. ასეთს კაცებს კონსერვატორებს ეძახიან და ვინ არ იცის, რომ კონსერვატორი მუდამ უფრო ბედნიერადა სცხოვრობს ლიბერალზედ. თუ გნებავთ, ილიბერალეთ კიდეც, მაგრამ კი არ გადააჭარბოთ, არ დაამლაშოთ. დაე, სხვებმა იმტვრიონ თავი და იბრძოლონ; თქვენ რა გენაღვლებათ. თუ საკეთილოდ გადაჰქმნეს ეხლანდელი წეს-წყობილება, ეს თქვენთვისაც კარგი იქმნება, თუ არა და, დაე, მხოლოდ ისინი შეიქმნენ „მსხვერპლად თვისის იდეალისა“, როგორც თითონ ამბობენ ხოლმე ასეთი თავ-გამოდებული კაცები. კარგად იცოდეთ, რომ ვისაც ყინული ჩაუტყდება და წყალში დაირჩვება, თავხედს ეძახიან, ხოლო ვინც მუდამ მშრალად გამოდის—„ჩინებულს“ კაცს. ეს ერთი.

მეორე: არავისს აზრს არ აუხირდეთ! ეს იმას-კი არა ჰნიშნავს, რომ თქვენს აზრს ნუ იქონიებთ; არა, თქვენი აზრი თქვენთვისა გქონდეთ, მაგრამ სხვას ნუ აუხირდებით ხოლმე და ნუ ებაასებით.

ან რა საჭიროა ახირება? ხომ ბოლოს თქვენ თქვენის აზრისა დარჩებით და კაცი რად უნდა მოიმდუროთ. თუ ორი კაცი აუხირდა ერთმანეთს და იქ „ჩინებული“ კაცი დაესწრო, არც ერთს არ აწყენინებს.

ვსთქვათ, ინგლისელები ჩინელებს წაეჩხუბნენ. ერთი ამტკიცებს, ჩინელები არიან დამნაშავენიო და მეორე ამბობს—არა, ინგლისელები აშავებენო. „ჩინებული“ კაცი იტყვის „ორთავენი დამნაშავენი არიანო“!

ან კიდევ ვსთქვათ, ორი კაცი ერთმანეთს აჰხირებია, ერთი ამტკიცებს, მავანი ქალი ახალგაზდა არისო, მეორე-კი ამბობს—დაბერდაო. თუ ამ ბაასს „ჩინებული“ კაცი დაესწრო და ჰკითხეს, შენ რა აზრისა ხარო, ასე იტყვის: „ეს ქალი ახალგაზდაა და თანდათან სიბერეში შედისო.“ არც ერთს ეწყინება და არც მეორეს.

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ,

მრულ საწირისა; თ) მიღება ამხანაგობის ახალის წევრებისა ამ წესდების მე-9 §-ისა და საზოგადო კრებათა ინსტრუქციების თანახმად; ი) განმწესება და დათხოვნა იმათი, რომელნიც ამხანაგობას ჯამაგირით ემსახურებიან, ია) წინდაწინვე განხილვა იმ საქმისა, რომელიც უნდა საზოგადო კრებას წარუდგინოს; იბ) მოწვევა ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრებაზედ და იმის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა; იგ) განაწილება და დარიგება საზოგადო კრების დადგენილებით ამხანაგობის მოგებისა; იდ) გაცემა სესხისა იმ საქონლის გირაოდ აღებით, რომელიც ამხანაგობას საკომისიოდ აქვს ჩაბარებული, მათი დაფასება, აგრეთვე აღება სესხისა საქონლის გირაოზედ სხვა საკრედიტო დაწესებულებათაგან საქონლის პატრონთა მინდობილებით და იმათის ხარჯით; და იე) აღსრულება ყოველგვარის სხვა მინდობილებისაც, რომელთა გაკეთების უფლებაც-კი ამ წესდებით მინიჭებული აქვთ, და განსაზღვრა საკომისიო გასამრჯელოს რაოდენობისა, შესანახის ფასისა და სხვა ამ გვარისა, თუ ეს რაოდენობა საზოგადო კრების მიერ არ იქმნება დადგენილი.

(შემდეგი იქმნება)

---

# ახალი ამბავი

—

∴ ტფილისის გუბერნატორმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა თურმე მეჯვრისხევის ბოქაულს მგალობლიშვილს და კარალეთის საზოგადოების მამასახლისს თავ. ა. ბ. ერისთავს-კი გადაუწყვიტა ორის კვირით დაპატიმრება, რადგან შესაფერი ღონისძიებანი არ იხმარეს და არ აღუკრძალეს სოფლის მცხოვრებთ ჭირით დახოცილის საქონლის უპატრონოდ გადაყრა სოფ. თორტიზის ქუჩებში, რის გამოც საქონლის ჭირი მოსდებია მთელს გორის მაზრას, როგორცა სჩანს ბეითალ ექიმის ტიგნერის მოხსენებიდგანაო.

∴ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საერობო სასწავლებლების მოსამსახურეთა ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შუამდგომლობა დაუწყია საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ამ სასწავლებლების მასწავლებელთ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი მიენიჭოთო.

∴ ლორდი გუნტერს მეუღლითურთ განუზრახავს მოგზაურობა ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში. ამიტომ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიამ აცნობა ტფილისისა და ერევნის გუბერნატორებს, რომ ამ უცხო ქვეყნელთ ყოველივე დახმარება აღმოუჩინეთო.

∴ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას განუზრახავს კავკასიაში სხვა და სხვა ადგილებში სამისიონერო განყოფილებანი დააარსოს.

∴ ეჩმიაძინიდგან სწერენ გაზ. „ნორ-დარ“-ს: 2 სექტემბერს ეჩმიაძინის მონასტერი ჰნახა კავკასიის მთავარ-მართებელმა, თავ. გ. ს. გოლიცინმა. მის ბრწყინვალებას მიეგებნენ ძმანი მონასტრისანი. თავ. გოლიცინი შევიდა ტაძარში და ჯვარს ემთხვია. შემდეგ მისი ბრწყინვალება იყო კათოლიკოსთან და იქიდგან წავიდა ეჩმიაძინის აკადემიაში, სადაც მოსწავლეთა კრებულმა რუსეთის საერო საგალობელი „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“ იგალობა. ამავე დღეს მთავარ-მართებელი სადილად იყო კათოლიკოსთან მიწვეულიო.

∴ კოდორის (სოხუმის ოლქშია) დანგრეულ ხიდის დასათვალიერებლად გზათა სამინისტროს განკარგულებისამებრ, დაარსებულია ცალკე კომისია, რომელიც შესდგება ორის, სამინისტროს მიერ გამოგზავნილის, ინჟენერისა და კავკასიის გზათა ოლქის სატეხნიკო განყოფილების უფროსის ს. ს. სავიცკისაგან.

∴ გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, ამ რამდენისამე ხნის წინად მიწების გაყოფის დროს შორაპნის მაზრის სოფ. შაქმერის მცხოვრებთა და თავ. აბაშიძეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა ჯრუჭის მთის გამო, რომელსაც ერთი მხარეც ეპატრონებოდა და მეორეც. თავ. აბაშიძეთ ექვსი ქობულეთელი თათარი მოუყვანიათ და 25 სექტემბერს ამ მთის დარაჯად დაუყენებიათ. ეს დარაჯები იმდენად გულმოდგინედ ასრულებდნენ თურმე თავიანთს მოვალეობას, რომ მოჰკლეს შაქმერის მცხოვრებელი სამოცის წლის კაცი და დასჭრეს იმისი ორი მუშა მაშინ, როდესაც ისინი ღომის ყანაში ჰმუშაობდნენ. მკვლელები დაუჭერიათ და ონის საპატიმროში დაუმწყვდევიათ.

∴ გაზ. „კავკაზს“ დეპეშით სწერენ ეჩმიაძინიდგან, რომ 9 ოქტომბერს იქაური პოლიციის ბოქაული მონასტირსკი მოკლულ იქმნა ავაზაკების მიერ იმ თოფის სროლის დროს, რომელიც მოხდა ავაზაკებსა და პოლიციის შორისო.

∴ გაზ. „ტფილ. ფურც.“-ს ატყობინებენ, რომ „3 ოქტომბერს დილით დედათა პირველ გიმნაზიის კარებთან აუარებელ მოსწავლე ქალებს მოეყარათ თავი და იდგნენ გარეთ გაჩერებულნი, რადგან კარის მოსამსახურე გიმნაზიაში შესვლის ნებას არ აძლევდა იმათ, რომელნიც „უკალოშოდ“ მისულიყვნენ. თუმცა წინა დღით პატარა წამოწვიმა, მაგრამ ამ დღეს სრულებით არა ყოფილა წვიმა, ქუჩებშიაც სიმშრალე იყო და მშობლებს თავიანთი შვილები „უკალოშოდ“ გაეგზავნათ სასწავლებელში, რადგან არ იცოდნენ, თუ კარის მოსამსახურისაგან ყოფილა დამოკიდებული იმის გამორკვევა, როდის შეუძლიანთ მოსწავლეთ უკალოშოდ სიარული და როდის არა. კარის გამღებ მოსამსახურის გულმოდგინეობამ იქამდე მიაღწია, რომ ფეხებს უსინჯავდა მოსწავლეთ, ზოგს აძლევდა ნებას სასწავლებელში შესვლისას და ზოგსეუბნებოდა, რომ წადით, ჩაიცვით კალოშები და ასე მოდითო. ბევრი დაბრუნდა უკან, ზოგი პირველს გაკვეთილს მოსცდა და ისე მოვიდა და ზოგი-კი სულ აღარ მოსულა, რადგან ძლიერ შორს იდგნენო“. ბოლოს გაზეთი დასძენს, რომ კარგი იქნება, ბოლო მოეღოს ამ მოსამსახურის თავ-გასულობას და დაევალოს, რომ ზრდილობიანად ეპყრობოდეს მოსწავლე ქალთაო.

∴ გორი. გუშინ, 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, მე 250 ვერსზედ ლიანდაგის დარაჯს გველიძეს თავს დაესხნენ სოფელ რუისის მცხოვრებნი ლევან და გიორგი მოგვასწარიშვილები და უწყალოდ სცემდნენ კეტებით. ამ დროს ტფილისისკენ მომავალმა სამგზავრო მატარებელმა გამოიარა, მემანქანემ ეს ამბავი შენიშნა და მატარებელი გააჩერა, მოგვასწარიშვილები შეიპყრეს და გორის სადგურზედ ჟანდარმს გადასცეს.

∴ სოფ. საგარეჯო. საგარეჯოშიაც, როგორც სხვა ადგილებში, საშინლად არის გავრცელებული ციებ-ცხელება, მაგრამ ამ სენს ჯერჯერობით არავინ უმსხვერპლია, თუმცა ხალხს დიდს ზარალს აძლევს, რადგანაც მუშაობას აცდენს. წამლობის მხრივ ხალხი არ არის უნუგეშოდ დატოვებული; ყველას ხელი მიუწვდება ავადმყოფობის დროს უწამლოს თავისს თავს, რადგანაც აქ არსებობს სასოფლო სამკურნალო, სადაც ექიმობა და წამალი მუქთია. ამასთან მადლობის ღირსია ექიმი იაშვილი, რომელიც დიდის გულმოდგინებით ეკიდება თავის სამსახურს და ამიტომ სიყვარული და ნდობა დაიმსახურა ხალხისა. წამლობა საუკეთესოდ არის დაყენებული ს. საგარეჯოში, ამიტომ შესაწყნარებელი არ არის, რომ ამ სოფელში რაიმე გავლენა ჰქონდეს ზოგიერთებზედ მატყუარა მკითხავებს. საუბედუროდ, მოიპოვებიან ამგვარი მკითხავები: ერთი ვიღაცა ც.—ხ. ცოლია, მეორე გრ. მ—და. საწყალ ავადმყოფებს ხან ერთ ეკლესიაში უკრავენ თავს, ხან მეორეში. ამ გვარა წანწალი უიმისოდაც ღატაკ ხალხს, უარესად აღატაკებს. საჭიროა ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს და აღაგმოს ეს მკითხავები. აქ ღვინისა და სიმინდის მოსავალი კარგია, პურისა და ქერისა მცირე.

---

### წერილი კახეთიდგან

დადგა შემოდგომა და რაც-კი მოუყვანია ადამიანის ოფლსა და მიწის სინოყივრეს, გროვდება, გადადის ხელიდგან ხელში, სცდილობს ფულად გარდიქმნას, ფულად, რომელიც გაჰხდომია მწარმოებელ-ოფლის მღვრელს ჯოჯოხეთად და ვაჭარს სამოთხედ. ფულად გარდასაქმნელად მოაქვთ თელავში, სხვათა შორის, ხილი: ვაშლი, მსხალი, კომში, ბროწეული და სხვ. ხილის მოყვანას არ მისდევენ კახელები და ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ კარგი ხილი აქ სულ ცოტა მოიპოვება. თუ ვისმე ეზო-მიდამოში ხეხილი აქვს, უეჭველად მამა პაპისაგან გაშენებული და ისიც მოუვლელობით ზოგან სრულიად გადამხმარი, ზოგან რამდენიმე ხე დარჩენილა, რომელიც მოუვლელობით დასოკოიანებულა, დაავადებულა და, რა თქმა უნდა, ნაყოფიც არ ექმნება სალი და რიგიანი. ჩვენდა სამარცხვინოდ, თელავში ას ვერსზედ ურმით ინგილოები ხილს ეზიდებიან, რასაკვირველია, ადგილობრივ ხილზედ უკეთესს, და თითქმის აქაურებზედ იაფად ჰყიდიან, მაშინ როდესაც კახეთში შეიძლება ბევრად საუკეთესო ხილის მოყვანა, ვიდრე ინგილო-

---

ლაპარაკი ძლიერ საშიშია. ისა სჯობიან, სდუმდნენ ხოლმე ბაგენი თქვენნი. მე ერთს კაცს ვიცნობ, რომელიც მუდამა სდუმს, როცა სხვები გაცხარებული ბაასობენ. ამ გაცხარებულ ბაასში სხვებს, ვინ იცის, რა არ წამოსცდებათ. მდუმარე კაცზედ-კი ბევრი ამბობს—ძლიერ ჭკვიანიაო. თუ მაინც და მაინც თქვენს ქერქში ვერ დამდგარხართ, ლაპარაკს ისა სჯობია, რომ, როცა სხვები ლაპარაკობენ, თქვენ მხოლოდ ყური უგდეთ და თუ გაჭირდა წაიბლუკუნოთ: „ი—ი“, „ო—ო“, „უ—უ“ და სხვ. ან კიდევ დაფიქრებით: „ჰმ... ჰმ...“ ან მოწონებით „ჰა“, ან ნიშნის მოგებით „ჰე“. ერთს კაცს ვიცნობდი; რაც უნდა გეთქვათ, სულ ამას გეტყოდათ „ეგრე ჰა!“ ამ სიტყვებს სხვა-და-სხვა კილოთი იტყოდა ხოლმე და ვინც ელაპარაკებოდა, ყველას ეგონა, ჩემის აზრისა არისო. საკვირველიც არ არის, რომ ამ კაცს ყველანი მარტო „ჩინებულს“ კი არა, ჭკვიანსაც ეძახდნენ.

არავინ არ აძაგოთ და ყველას თავაზიანად მოექეცით, სულ ულირსი და საძაგელი კაციც რომ იყოს, ვინაიდგან რა საჭიროა სულ უმიზეზოდ მტერი შეიძინოთ! სულ საზიზღარი კაციც რომ შეგხვდეთ, თავაზიანად მოექეცით, რა გენაღვლებათ, რომ ცუდი კაცია; თქვენ ხომ პროკურორი არა ხართ, ან მსაჯული, რომ გაასამართლოთ!

„ჩინებულს“ კაცს მუდამ ბევრი „კეთილი“ მეგობარი ჰყავს და მთელს ქალაქს იცნობს. ქუჩაში რომ გაივლის, ნაცნობი სალამს ვერ დაასწრობს; თუ ვინმე დააცქერდა, იმ წამსვე ქუდს მოიგლეჯავს, „ვინ იცის, იქმნება მინახავს სადმეო“. კარგადაც იქცევა, ჩემმა მზემ. ისევ ისა სჯობიან, რომ უცნობს კაცს მისცეს სალამი, ვიდრე ნაცნობს ქუდი არ მოუხადოს: დაემდურება, სხვა არა იყოს-რა.

„ჩინებულს“ კაცს უბის წიგნში აქვს ჩაწერილი ყველა ნაცნობის დაბადების დღე, მივა მიულოცავს და ისეთის ნაცნობის მაგიერად მოიკითხავს, რომელსაც ფიქრადაც არა ჰქონია ამ კაცის მოკითხვა. რა ენაღვლება, გულს ხომ მოუგებს. სტუმრად რომ მივა „ჩინებული“ კაცი, სცდილობს მთელს ოჯახს ვასიამოვნოვო, დიასახლისს ეტყვის: „რა მშვენიერი სადილია ხოლმე თქვენსაო“, ავადმყოფს ბიძას: „ხომ კარგადა ბრძანდებით“, ბავშვზე: „რა კარგი ყმაწვილია“, მამიდას: „როგორ გალამაზებულხართ! ეგ თავსაკრავი ძლიერ გიხდებათ“!..და სხვ.

თუ კაცი პირში აქეთ, ხომ კარგია და კარგი. შეიძლება გადააჭარბოთ კიდეც, არა უშავს რა, მაგალითად, არავინ დაგემდურებათ, რომ გიმნაზიელს სტუდენტი უწოდოთ, სტუდენტს—პროფესორი, კანცელარიის მწერალს—საქმის მწარმოებელი, გაზეთის თანამშრომელს—რედაქტორი, აფიშების დამტარებელს—არტისტი, პოლკოვნიკს—გენერალი და სხვ.

ერთს ახალგაზდა კაცს ვიცნობდი, ძლიერ უხეირო მოთხრობებსა სწერდა, მაგრამ ერთს გაზეთში ყოველთვის აქებდნენ. დიდ ხანს მიკვირდა და ვერ გამეგო, რა იყო მიზეზი ამ ქებისა. ბოლოს გავიგე. ერთხელ ეს მწერალი ქუჩაში ვილასაც ესაუბრებოდა. საიდგანღაც გაჩნდა დიდი ძაღლი, მივარდა ჩემს მწერალს, ზედ შეახტა და ლაქუცი დაუწყო. მწერალი წინალამ არ გაიშხლართა ქუჩაში. ჯერ ძლიერ ეწყინა ეს მოულოდნელი ამბავი, მაგრამ მერე ძაღლი იცნო და ალერსიანად უთხრა: „აჰ, ეს „თქვენა“ ხართ, მურკავ!“ ეხლა-კი გავიგე, რად აქებდნენ გაზეთში ამ მწერალს. ეს „მურკა“ იმ გაზეთის რედაქციის ძაღლი იყო და აბა თქვენ თითონა ბრძანეთ, თუ-კი მწერალი ძაღლსაც თქვენობით ელაპარაკებოდა, რედაქციის წევრებს ხომ რა მოწიწებით მოექცეოდა და ასეთის „ჩინებულის“ კაცის მოთხრობას ვიღა აძაგებს!

ღმერთმა დაგიფაროთ და მოყვარესა გინდა მტერს არც პირში უძრახოთ და არც პირს უკან. თუ გინდათ, რომ თქვენზედ კარგი ილაპარაკონ, თქვენც ყველაზედ მარტო კარგი სთქვით და თუ ეს არ შეიძლება, ყველას ბოდიში მოჰხადეთ, გაამართლეთ.

ეს არც ისე ძნელია. კაცი არ მოიპოვება, რომ კარგი რამ თვისება არა ჰქონდეს: არც ისეთი ცუდი რამ საქციელი არის, რომ საბოდიშო და გასამართლებელი რამ არ მოიძებნებოდეს.

იმის დამტკიცება ხომ არ არის საჭირო, ესა და ეს კაცი „ჩინებული არისო“, ეცადეთ მხოლოდ, რომ თქვენ დაგარქვან „ჩინებული“ კაცი. ამ გვარად, თუ ვინმე აქეთ და ეს ქება ხალხმა არ შეიწყნარა, თქვენ რა? თუ არას მოიგებთ ამითი, ხომ არას იზარალებთ!

ვსთქვათ, გინდათ რომ თქვენს მოყვასს სახელი გაუფუჭოთ. ძაგებაკი არ დაუწყოთ ხალხში. პირიქით, სწორედ ის თვისება უქეთ ამ კაცს, რაც რომ საძრახისია. უეჭველია, გამოჩნდება ვინმე სამართლიანი კაცი და პირში გწვდებათ, იმ კაცს როგორ აქებ, სწორედ აი მაგ მხრივ არის ციდიო და საბუთებსაც გადმოგილაგებთ. აბა საბუთების წინააღმდეგ რაღა გეთქმით, მაგრამ მაინც ასე სთქვით; „რა ვიცი, იქნება ყველა ეგ მართალიც იყოს, მაგრამ მე არა მჯერა და მაინც ურიგო კაცად არ მიმაჩნია“. ამ გვარად იმ კაცსაც სახელს უფუჭებთ და თქვენც ჩინებულის კაცის სახელს იკეთებთ, რადგანაც ყველა იტყვის, რა კარგი კაცია, ყველა კარგ კაცად მიაჩნია, ცუდს არავისზედ იტყვისო.

და თუ ისე მოხდა, რომ იმ კაცის წინააღმდეგ არავინ გაილაშქრა, მაშინ მარტოც მოახერხებთ იმის დამცირებას. საკმარისია მხოლოდ სთქვათ, აი რამდენს ცუდსა ლაპარაკობენ იმ პატივცემულს კაცზედ (და ყოველივე სისაძაგლე ჩამოთვალეთ). მაგრამ მე არა მჯერა. მარტო ის არის საჭირო, რომ თქვენი ნათქვამი სიტყვები სხვებმა დაიჯერონ, თქვენ კი ისე აჩვენეთ თავი, რომ ერთი სიტყვაც არა გჯერათ თქვენის ნათქვამისა. მე რა, სხვები ლაპარაკობენთქო ასე.

შეიძლება ცუდიცა სთქვათ თქვენს მტერზედ, მაგრად ფრთხილად-კი, სიბრალულითა და არა სიძულვილით. აი ასე მაგალითად: „საბრალო კაცი ბებრალდება, ძლიერ კარგის გულისაა და ამით უფუჭდება საქმე; მაგრამ

ში. ჩვენ მამა-პაპისაგან გაშენებული ხეხილიც დაუდევნელობით ამოგვიგდია, არა თუ ახალი რამ მიგვემატებინა.

ზემო კახეთში ეს არ ეთქმით, ხოლო ზოგიერთ თავ. ვახვახიშვილებს და განსაკუთრებით სოფ. კონდოლში მცხოვრებელს თავ. მიხეილ ლეონიძეს უკანასკნელი 15—16 წელიწადია საკუთარის შრომით გაუტეხიათ ერთი დღიური ჯაგიანი იქავე სახლის გვერდზედ, შეურჩენიათ პანტა და მაჟალო, აუღიათ ერთი კალმის დანა და ერთი პატარა ხერხი და ამ ყველასათვის საადვილო იარაღ-მასალით შეუქმნიათ იმისთანა ხეხილის ბაღი, რომ წინანდალში ისეთი საპატიო კაცი არა ყოფილა, რომელსაც ან თვით ბაღი არ ენახოს და ან მისი ხილი არ ეგემოს. მათის იმპერატორებითი უდიდებულესობა—ალექსანდრე III როცა წინანდალში მობრძანდა, მიართვეს თავ. ლეონიძის ბაღის ხილი, რისთვისაც პატრონმა უმაღლეს წყალობად ძვირფასი ოქროს საათი მიიღო. დაუთვალიერებიათ ბაღი თავ. დონდუკოვს მთავარ მართებლობის დროს, აგრეთვე თავ. შერემეტიევს, თავ. ვიაზემსკის და აწინდელს მთავარ მართებელს გოლიცინსაც შარშან საქართველოში მოგზაურობის დროს დაუვლია ბაღი. ყველა ამ წარჩინებულთა ყურადღება დაუმსახურებია იმ კაცის შრომის ნაყოფს, რომელსაც არავითარი სამეურნეო განათლება არ მიუღია. მიუქცევია ყურადღება როგორც ხეხილის საუცხოვო გაშენებით, აგრეთვე ნაყოფის სიკეთით. დღეს თავ. მიხეილ ლეონიძის ხეხილის ბაღი ერთი სამად გაზრდილია, შიგ მოიპოვება: ვაშლი და მსხალი მრავალნაირი, (გაზაფხულისა, ზაფხულისა და შემოდგომისა), შპანსკისა, თეთრი და წითელი ბალი და ასეთივე ალუბალი, კომში ბევრნაირი, ქლიავი ნამყენი, ძალიან გემრიელი და მრავალნაირი, ნამყენი ატმები ადრეულა და შემოდგომისა, ალიბუხარი, ნამყენი გარგარი და ალუჩა, ბროწეული, ბაღის მსხვილი ზღმარტლი, კინკრიჟა ბევრნაირი, მუდამ მწვანით მოსილი ხეები, სხვა-და სხვა ნამყენი ვარდი, საუკეთესო ჯიშის თხილი და კაკალი, აგრეთვე მშვენიერი ხეები ლიმონისა და ფორთოხლისა და მრავალი სხვა ხეხილი.

ყველა ხეხილის სკოლა აქვს და აგერ ორი წელიწადია თავისის ადგილის გაშენებას მორჩა, ახლა ყველას შეუძლიან ძალიან იაფად შეიძინოს იქ საუკეთესო ხეხილის ნამყენები. აგრეთვე შიგავე ბაღში მოთავსებულია საფუტკრე სკები უკანასკნელის სისტემისა. ფუტკარს უვლიან ქალები, რომელთაც საუკეთესოდ შეუსწავლიათ ფუტკრის მოვლა თავისის ძმისაგან და ხეხილის მოშენება მამისაგან; ამასთან ისინი აკეთებენ „კონსერვებს“, ხილის „კანფეტებს“ და მარინადებს, ისინივე უვლიან შენახულ ხილს. ხილს, კონსერვებს, „კანფეტებს“ თაფლსა და „მარინადებს“ კიდეცა ჰყიდიან მსურველებზედ. უცხოელთ შეუძლიანთ ყველაფერი ფოსტით დაიბარონ *).

ამის შემდეგ ყველა უნებურად იკითხავს: რატომ ჩვენს ყველა მემამულეს არა აქვს თავ. ლეონიძის ხეხილის ბაღის მზგავსი დიდი ან სულ პატარა მაინც და რატომ ყველა მემამულის შვილები ისე არ იღებენ ოჯახის მოვლაში მონაწილეობას, როგორც თავ. ლეონიძის შვილები? მართალია, თავ. ლეონიძის ვაჟს სამეურნეო განათლება მიუღია, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ ის ახალი დაბრუნებულია შინ და ხეხილი სავსებით მამის გაშენებულია, შვილს მარტო ფუტკრის გაშენება გაუუმჯობესებია და, მეორე, რომ ქალებს თუმცა სამეურნეო განათლება არ მიუღიათ, მაგრამ მამასა და ძმას თუ პრაქტიკული ცოდნით არ აღემატებიან, ნაკლებნი არ არიან.

*) ადრესი: телавъ кн. Михаилу Леонидзе.

დრო არის, ბატონებო, ამ კეთილს მაგალითს მივბაძოთ. დრო არის დავეშურნეთ ხეხილის გაშენებას, რომ ვიდრე რკინის გზა მოგვადგება კარზედ, ნაყოფიც გამოვალებინოთ. ამ 20—40 წლის წინად იცოდნენ, ვისაც კარგი ძაღლი ჰყავდა, ლეკვებს გადაუყრიდნენ, სხვამაც არ გაიჩინოსო, აგრეთვე კარგი რამ საუცხოვო ხეხილის, ან სხვა მცენარის ნერგს არავის მისცემდნენ, სხვაც გაიჩენს და სიტურფე ჩემსას დააკლდებაო და ზედაც უკვდავ შოთას ნათქვამს დასძენდნენ: „ოდეს ტურფა გაიაფდეს“ და სხვ. პატივცემული თავ. ლეონიძე ასე არ იქცევა, იგი ყველაფერს, რაც-კი აქვს ბაღში, ნერგებსა და ნამყენებს ძალიან იაფად უთმობს, ოღონდ გაიჩინეთო, აგრეთვე ფუტკარსაც სკობით ჰყიდის.

მრავალი მიზეზი გვატანს ძალას, რომ ჩვენი წარმოება გავაფართოვოთ, რომ ყოველს მარჯვენას, კაცისა არის იგი თუ ქალისა, დიდებულისა, თუ გლეხისა, ნაყოფი გამოვალებინოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი უთაურობა და დაუდევრობა ძალასაც ძალზედ უძალიანდება. არ ვიცი, როდის მოხდება სასურველი გამარჯვება! დრო კია, დრო!

ნადიკვრელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ექადია** (ოზურგეთის მაზრა) ეს სოფელი დვაბზუის საზოგადოებაზედ არის მიწერილი. ადგილ-მდებარეობა მშვენიერი აქვს. ექადია თავისის მდებარეობით წარმოადგენს თითქმის განგებ გაკეთებულ გორაკს, რომელიც დამშვენებულია სხვა-და-სხვა ხე-ხეხილებით. აქა იქ კოხტად გამოჭიმული ოდა-სახლები ხომ სულ უფრო აორკეცებს ექადიის მშვენიერობას. სულ ამ სოფელში სამოციოდე კომლი ირიცხება. თავად-აზნაურობას ნაკლებ შეხვდებით. ერთად ერთს იმათს სიმდიდრეს სიმინდი შეადგენს, რომლის ფასიც ძალზე დაცემულია. აყენებენ კარგს ღვინოსაც, მაღალის ხის ვაზიდგან (ჩხავერი), მაგრამ სულ ორ სამ მოსახლეს უნახავთ ჩხავერის ღვინო წლის დამლევს. ს. ექადია სულ ერთის ვერსის მანძილზეა დაშორებული ქ. ოზურგეთზედ. ოზურგეთიდგან რომ სამხრეთ-დასავლეთით გაიხედავთ, პირველადვე შენიშნავთ მაღალ გორაკიდგან გადმომცქერალს ექადიის წმ. გიორგის ეკკლესიას. ეს ეკკლესია ახალია და ქვისა. სივრცით იგი მეტია წინანდელ ეკკლესიაზედ. გორაკს, რომელზედაც ეს ეკკლესია არის აგებული, სამხრეთიდგან ქვის კიბე აქვს მიშენებული, რომელსაც პირდაპირ ეკკლესიის გალავანში მიჰყავხარ. გალავანი ქვითკირისა არის. ეს ახალი ეკკლესია აგო თავისის დაუღალავის მხნეობით, შრომითა და მეცადინეობით ადგილობრივმა მღვდელმა მამა ს—ნ დუმბაძემ. აიღო მან ჯოხა და გაუდგა გზას ფულების მოსაკრებად. შემოიარა თითქმის მთელი საქართველო და სხვა ახლო მახლო ქალაქებიც, მაგალითებრ ასტრახანი და სხვ. სადაც ფეხით ვერ მისწვდა, იქ თხოვნით მიჰმართა მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას, იოანნე კრონშტადტელს, ¦ი. ნაკ—მეს და სხვ., რომლებმაც არ დაიშურეს თავისი წვლილი ასეთის კეთილ საქმისათვის, როგორიც არის ეკკლესიის აგება და გამშვენიერება. ძნელად წარმოსადგენია იმდენი შრომა, სიარული, ხან სიცივისა და ხან პაპანაქება სიცხის ატანა, რაც გამოიარა მღ. ს. დუმ—ძემ თავისის აზრის განხორციელებისათვის. თვით ექადიელები ძალიან მადლიერები არიან თავიანთის მღვდლისა და დიდს პატივსა სცემენ საერთოდ.

ეხლა ექადიელებს ეკკლესია კარგი აქვთ, მაგრამ სულ სხვა ჭირ-ვარამი უღადრავთ გულს; ეს გახლავთ სკოლის უქონლობა. პირველ-დაწყებითი სკოლა ქ. ოზურგეთშიაც არის, რომელზედაც ძალიან ახლოა ექადია. სკოლა დვაბზუშიაც არის, მაგრამ ექადიელებს არ შეუძლიანთ ამ სკოლებში შვილის გაგზავნა. მიზეზი ის არის, რომ ბავშვმა სკოლაში მისვლამდის ორი გიჟმაჟი მდინარე უნდა გაიაროს. ერთი „აჭის წყალი“ და მეორე „ბჟუჟი“. „ბჟუჟი“ ადრეც სახელ განთქმული იყო. ეხლა მთლად გაითქვა სახელი, რადგან ეგრედ წოდებულ „მამინაიშვილს ხიდს“ მოუღო ბოლო და წარიტაცა. ბჟუჟს ხშირად შეხვდებით საპირობიდგან გადმოსულს, რომლის დროსაც შიშსა და ძრწოლას ჰგვრის ახლო მახლო მცხოვრებთ. ბჟუჟზედ წელიწადში ორჯელ ვერ ნახავთ ხიდს. ბავშვების მამებს ხომ არ მოსწყურებიათ თავიანთი შვილები, რომ თავხედ მდინარის მსხვერპლი გახადონ. ‹სეც ძალზედ დაზრდილი ბჟუჟი მოსწავლეთა ჩათრევას.

ამ მიზეზების გამო ექადიელებმა ძალა უნებურად თავისთვის უნდა დაიარსონ პირველ დაწყებითი სკოლა. ეს გადაწყვეტილიც-კი აქვთ, მაგრამ განხორციელებაა ძნელი. ერთმა ექადიელმა შემომჩივლა: „ჩვენ სოფელში რომ ერცხე ბევრი სწავლული კაცი იყოს, სხვა სოფლებთან შედარებით, ჩვენისთანა ბედნიერი ვინ იქმნებოდა. მოი და იანგარიშე ახლა შენ, სხვა სოფლებში ზოგან ორ-ორი კლასი უჭირავს და ჩვენში ერთიც არ გვაქვს, რა გვეშველება, კიდევ და ჩვენმა სოლომონმა თუ გაგვიკეთა და გვიხერხა რამე, თვარა ამ ბედნების ცოდვა ჩვენ კას არ გვიზამს, ზეა-ზერა წაგვწყმენტს“-ო.

იმედი გვაქვს, რომ მღ. მამა სოლომონ დუმბაძე ხალხის თხოვნას და გაჭირვებას ყურადღებას მიაქცევს და შეუდგება იმ წმიდა აზრის განხორციელებას, როგორიც არის სკოლის დაარსება. სულით და გულით ვუსურვებთ მამა ს. დუმ—ძეს ამ საქმეშიაც გამარჯვებას.

გიტულიშვილი

## რუსეთი

— კომისიამ, რომელიც დაარსდა სენატორის კანირომის თავმჯდომარეობით სამოქალაქო კანონმდებლო-

არა უშავს-რა, შეიძლება გამოკეთდეს კიდეც, ჯერ ხომ ახალგაზდაა. სულ 30 წლისა თუ იქმნება.. ამით აი რა ითქმის: 1) რომ ეს კაცი უხასიათოა, 2) რომ ცუდს გზას დასდგომია, 3) რომ არაფერი ეშველება.

ან კიდევ ახალგაზდა ქალზედ რომ სთქვათ: „მეცოდება ეგ ქალი, რა ლამაზია და ამასთან რა გაუფთხილებელი“-ო, ვინ იცის, რას არ იფიქრებენ, მაგრამ თქვენ ხომ არაფერს შუაში ხართ, ცუდი ხომ არაფერი გითქვამთ.

შეიძლება, კაცს ისე დაუგდოთ ცოლის მტარვალის სახელი, რომ თვით ამ კაცზედ კრინტიც არ დასძრათ. საკმარისია მხოლოდ ყველგან ასე ილაპარაკოთ იმის ცოლზედ: „რა საოცარის მოთმინების ქალია ეს ქალი, რა გულ კეთილია და უსიამოვნების ამტანი.“

ყველა მიხვდება, რომ ამ ქალის ქმარი მტარვალი ყოფილა, მაგრამ თქვენ ხომ ცუდი არაფერი გითქვამთ, პირიქით, მარტო სიკეთეს ლაპარაკობთ.

ეცადეთ აგრეთვე, არა წინ აღუდგეთ ჩვეულებას. თუ ეცდებით ყველას დაემგზავსოთ, ყველას მოეწონებით, თუ იმას ეცდებით, სხვებს არ დავემგზავსოვო, მარტო თქვენ თავს მოეწონებით და სხვებს არა.

რაც უნდა კარგი კაცი იყოს ახალგაზდა კაცი, ლამაზი, ჭკვიანი, მამაცი, თუ წოწოლა ქუდი დაიხურა იმ დროს, როცა ყველას ბრტყელი ქუდი ხურავს, „ჩინებულ“ კაცს არა ვინ უწოდებს.

ეს რაღა დანაშაულიაო, იკითხავთ. არაფერი. რა დანაშაული ჰქონდა სათნოებით სავსე არისტიდს, მაგრამ ბერძნებმა აკი სამშობლოდგან განაძევეს, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სათნოება თვალებში ეჩხირებოდათ.

რაკი კაცი საზოგადოებისაგან გაირჩევა, სულ ერთია რითაც, სათნოებითა თუ წოწოლა ქუდით, საზოგადოებას აღარ უყვარს. რაო ეხლა, ჩვენ ყველას ბრტყელი ქუდი გვხურავს და იმან წოწოლა რაღად დაიხურა! თუ იმასა ჰფიქრობს, ასეთი ქუდი მარტო მე მიხდება და სხვას არაო, ეს ხომ კადნიერება არის; ვითომ ეგ სხვას რითი სჯობიან. ამ გვარად წოწოლა ქუდი ნამდვილად საზოგადოების ოპოზიციის ნიშნად გადიქცევა.

ამ 30 წლის წინად იუტლანდიაში ზოლებიანი შალვარი არავისა სცმია. ერთის კანცელარიის საქმის მწარმოებელმა ზოლებიანი შალვარი ჩაიცვა და სამსახურში ისე მივიდა. არ უნდა ექმნა ეს. უფროსმა რომ დაინახა ასე სთქვა: „მე არა მსურს, რომ ჩემს კანცელარიაში მასხარები იყვნენო“ და სამსახურიდგან დაითხოვა. ეხლა ზოლებიანი შალვარი მოდათ შემოვიდა, თვით იმ უფროსსაც და ყველასაც აცვია, მაგრამ სამსახურიდგან დათხოვნილს მოხელეს-კა დღესაც „მასხარას“ ეძახიან.

აი ერთი მაგალითიც: ქალაქში ერთს ახალგაზდა კაცს ვიცნობდი. ვაჭარი იყო, ძლიერ „ჩინებული“ კაციც, მაგრამ იმ დალოცვილს ერთი ნაკლი ჰქონდა: ახალი მოდა რომ გამოვიდოდა, პირველად იმას უნდა გაეგო და ამ მოდაზე გამოწყობილიყო. ერთხელ კლუბის დარბაზში მოკლე ყელებიანის წაღებით მოვიდა და გძელის წინდებით, ყველას-კი გძელი ყელიანი წაღები ეცვა. კლუბის უფროსებმა მოდის ამდევარი კაცი გარედ გაიყვანეს. საბრალომ ქალაქში თავი ვერსად გამოჰყო სირცხვილით და სოფელში წავიდა. როგორც იყო ქალაქში ეს ამბავი დაავიწყდათ და ჩემმა ნაცნობმა ისევ დაიმსახურა „ჩინებულის“ კაცის სახელი. ქალაქშიაც მოდიოდა ხოლმე, თუმცა იშვიათად-კი. აქ ერთი მდიდარი ქალი მოეწონა და ქალიც დასთანხმდა ცოლობაზედ. ერთხელ სანეფო ქალაქში მოვიდა და უთხრეს, საპატარძლო და მისი დედ-მამა კლუბში წავიდნენო. სანეფოც წავიდა კლუბში და რომ ისევ გარედ არ გამოეყვანონო, გძელ ყელიანი ჩექმები ჩაიცვა. თურმე ნუ იტყვით, ეხლა-კი ყველას მოკლე ყელიანი ჩექმები ეცვა იმის გარდა. ყველანი დასცინოდნენ. საპატარძლოსაც შეეჯავრა: „ეს რა დათვი რამ ყოფილა, გენაცვალეთ და უარი უთხრა ცოლობაზედ. ამ უარის გამო საბრალო კაცმა ვალები ველარ გადაიხადა და ყველამ ასე სთქვა, ვიღაც მატყუარა და მაწანწალა ყოფილაო. სულ იმის ბრალი-კი იყო, რომ ამ კაცის სოფელში ყოფნის დროს მოკლე ყელიანი წაღები ყველამ შემოიღო მოდად.

კიდევ გაფრთხილებთ. ყველაფერში ერიდეთ ოპოზიციას და ნურავის ნურაფერში ნუ გაუწევთ წინააღმდეგობას, თუ გინდათ, რომ „ჩინებულის“ კაცის სახელი დაიმსახუროთ და ბედნიერად იცხოვროთ.

ეხლა იქმნება მკითხოთ, ეს ცოდნა მე თითონ გამოვიყენე თუ არა, მე-კი „ჩინებულს“ კაცს მეძახიან, თუ არა?—არა. რატომაო იკითხავთ. ამის პასუხად ერთს ამბავს მოგახსენებთ (უკანასკნელს).

ერთი ბლუ კაცი მივიდა მკურნალთან და ჰკითხა, შეგიძლიან თუ არა ენა გამისწორროთო.

— დ...დ...დიახ! დ...დ...დიახ,— უპასუხა მკურნალმა შ...შ...შემიძლიან ძ...ძ...ძლიერ ადვილად. და როდესაც ბლუს ძლიერ გაუკვირდა და ჰკითხა, თქვენ თითონ რატომ ვერ გაისწორრეთ ენაო,—მკურნალმა უპასუხა:

— ი...ი...იმიტომ, ჩ...ჩ...ჩემო კარგო, რ...რ...რომ ეს მე არ მაწუხებს, ბ...ბ..ბუნებით დამყვა და გასწორრება მიძნელდებაო.

მეც ბუნებით დამყოლია ისეთი ხასიათი, რომ რაც არ მომწონს, წინააღმდეგობას ვუწევ და ისე მივეჩვიე მუდამ ოპოზიციაში ყოფნას, რომ არ მინდა გადავეჩვიო. მაგრამ მაინც ვიცი, რომ როცა იქმნება მეც დავიმსახურებ „ჩინებულის“ კაცის სახელს. უეჭველია, შეამჩნევდით, რომ როცა კაცი მოკვდება, ნეკროლოგში ყოველთვის სწერენ „ჩინებული“ კაცი იყოვო. ასეც უნდა იყოს: მკვდარ კაცს აღარავისი და აღარაფრის წინააღმდეგობა აღარ შეუძლიან და იმიტომ. თუმცა მე ძლიერ ბევრი ნაკლი მაქვს, მაგრამ როცა მოვკვდები, უეჭველია, ჩემზედაც იტყვიან:

„რაც უნდა იყოს, მაინც „ჩინებული“ კაცი იყოვო.

ა. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განსახილველად, ამ დღეებში განიხილა ნაფიცის ვექილის ვ. სპასოვიჩის მიერ შედგენილი პროექტი ავტორების უფლებათა შესახებ ახალ კანონმდებლობისა.

— განზრახვა აქვთ მომავალ წლიდგან ყველა რკინის გზის ვაგონები ორთქლით გაათბონ და ელექტრონით გაანათონ.

— განზრახვა აქვთ სულ მოკლე ხანში პეტერბურგში გამართონ კავკასიის სიძველეთა გამოფენა. გამოფენაზედ იქმნება მრავალი ძველებური და ძვირფასი იარაღი და კავკასიაში პირველად ქრისტიანობის გავრცელების დროის ნივთები.

— ბუნების-მეტყველებისა, ანტროპოლოგიისა და ეტნოგრაფიის საზოგადოებას ამბავი მიუვიდა, რომ განსვენებულის პროვიზორის ა. დ. ფრეიმუტის მეუღლემ ამ საზოგადოებას შესწირა ხუთი აქცია მოსკოვი-რიაზანის რკინის გზისა იმ პირობით, რომ ამ ფულის შემოსავალი ხუთს წელიწადში ერთხელ ჯილდოდ მიეცეს იმას, ვინც საუკეთესო წიგნს დასწერს ბუნების მეტყველების შესახებ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის პრეზიდენტად ნამყოფი კაზიმირ პერიე ხელახლად აპირებს საპოლიტიკო ასპარეზზედ გამოსვლასაო. წინად კაზიმირ პერიე პარლამენტში ობ-ის დეპარტამენტის წარმომადგენელი იყო, ხოლო პრეზიდენტობის დროს მან ეს უფლება დაჰკარგა. ეს პირველი შემთხვევა საფრანგეთში, რომ პრეზიდენტად ნამყოფმა თავიდგან დაიწყოს საპოლიტიკო მოღვაწეობა. კაზიმირ პერიეს უკვე დაუწყია ველოსიპედით დეპარტამენტის ქალაქებსა და სოფლებში სიარული, რომ რაც შეიძლება მეტი მომხრეები შეიძინოს. იმის მოწინაამდეგე რადიკალი, მეაფთექე ბაგინმონია. ყოველ ეჭვს გარეშეაო, ამბობენ გაზეთები, რომ არჩევნების დროს ექს-პრეზიდენტი გაიმარჯვებს და ობ-ის დეპარტამენტის მიერ პარლამენტის დეპუტატად ის იქმნება ამორჩეულიო.

**კრიტი.** ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ზოგიერთმა გაზეთებმა და სახელმწიფოებმა კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ კანდიდატად ბელგიელი მაიორი ვიტტე დაასახელესო. ეხლა გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ ფრანც-იოსებ ბატენბერგის კანდიდატის გამო, რომლის გამოც ამ რამდენისამე თვის წინად იყო ლაპარაკი, ხელ-ახლა აღძრეს სჯა-ბაასიო. პრინცი ფრანც-იოსები ამ ჟამად ჰესსენში მსახურობს. იმას ფილოსოფიის დოქტორის დიპლომი აქვს მიღებული. ფრანც იოსები დაიბადა 1861 წელს იტალიის ქალაქ პადუაში და ბოლგარიის მთავარის ალექსანდრე პირველისა და ჰენრიხ ბატენბერგელის ნამდვილი ძმაა.

—

**ოსმალეთი და საბერძნეთი.** მართალია, ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ზავი უკვე შეკრულ იქმნა, მაგრამ მათს შერიგებასა და დაწყნარებას არაფერი ეშველა. უკმაყოფილონი არიან, როგორც ბერძნები ოსმალებისა, აგრეთვე ოსმალები ბერძნებისა. პირველნი იმიტომ, რომ ოსმალეთის წყალობით მათ აუარებელი სამხედრო ჯილდო უნდა გაიღონ და თავიანთი ფინანსები ევროპის სახელმწიფოთ დაუმორჩილონ, ხოლო მეორენი იმიტომ, რომ რასაც მოელოდნენ და რის აღების იმედიცა ჰქონდათ, ის ვერ აიღეს. ოსმალეთს ეგონა, რაკი პატარა და უღონო საბერძნეთი დავამარცხე, შემიძლიან მთელი იმისი სარჩო საბადებელი წამოვიღო და ადგილ-მამული შემოვიერთოო. აი, სწორედ ამიტომ, როგორც ოსმალები, აგრეთვე ბერძნები, ერთი მეორეს მტრულის თვალით უყურებენ და მზად არიან პირველსავე შემთხვევის დროს ყელში სწვდნენ ერთმანეთს. გაზეთებმა უკვე მოიტანეს ამბავი, რომ საბერძნეთ-ოსმალეთის საზღვარზედ რაღაც არეულება არისო. ეჭვი არ არის, რომ ასეთი არეულება და შეტაკება ოსმალეთსა და ბერძნებს შორის შემდეგაც არა ერთხელ მოხდება.

## დამაკვირდი

სამინელი კიცხვაც-კი ადვილად ასატანია ჩვენთვის იმათგან, რომელნიც ჩვენ ქებას უფრო სიამოვნებით იტყოდნენ, ვიდრე მაგებას.

მარიამ ებნერ-ეშენბახი

* * *

ნაწვევი მწუხარება უფრო ადვილად ასატანია, ვიდრე მოსალოდნელი.

შილერი

* * *

სიკეთე ბოროტისა და სიავე კეთილისა იმათი ხანმოკლეობაა.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ძნელად დასაჯერებელია, რომ კაცს ფული ჰქონდეს და სიმშილითა კვდებოდეს. მაგრამ სწორედ ასეთი საქმე დაემართათ ოქროს მძებნელებს ალიასკაზედ, კლონდეიკში. ამერიკის ერთს ჟურნალს სწერენ ამ ადგილიდგან: „ოქროს მძებნელებს ძლიერ ეშინიანთ სიმშილით არ დავიხოცნეთო. მართლაც და ვინც ამ ზამთარს დარჩება აქ, სწორედ ეს ბედი მოელის. საქმე ის გახლავთ, რომ წლეულ აქ სწორედ იმდენი სანოვაგე და სურსათი მოვიდა, რაც შარშან, მაგრამ წლეულ ერთი ოთხად მეტი ხალხი მოაწყდა. ეს არავისი ბრალი არ არის, ვაჭრებმა საკმარისად დაიბარეს სურსათი, რომელიც ოთხს გემს მიჰქონდა. ერთი გემი ზღვაში დაიღუპა, მეორეს ამბავი ჯერ აქამომდე არავის შეუტყვია. ამ გვარად ოქროს მძებნელებს საჭმელი დააკლდებათ. მართალია, არაყი ძლიერ ბევრი მოვიდა, ესეც დიდი სიკეთეა, რადგანაც აქ ძლიერა ცივა, მაგრამ მარტო არყით კაცი კუჭს ვერ გაიძღობს. ოქროს მძებნელნი ამბობენ თურმე, რომ გვცოდნოდა, რა სიმშილს გამოვივლიდით აქა, არ წამოვიდოდითო. მართლაც და, ერთი ეს მიბრძანეთ, რა სასიამოვნოა, კაცს ოქროთი სავსე ჰქონდეს ჯიბე და მშიერი-კი მოკვდეს.

რა სიძვირეა ეხლა ამ ოქროს მადნებში, მკითხველი ადვილად გაიგებს შემდეგის ცნობებიდგან: ფქვილი 12 მანათი ღირს ტომარა, ერთი პური—1 მანათია; ღორის ქონი გირვანქა 4 მან., გირვანქა ერბო—4 მან., შაქარი გირვანქა 50 კაპ. თორმეტი კვერცხი—6 მანათი. მზარეულს თვეში 200 მანათზედ ნაკლებ ვერ იშოვნით. მოსარეცხე ათი ნაჭერის გასარეცხს 9 მანათს იღებს. რაღა თქმა უნდა, რომ რაც უნდა ბევრი ოქრო იშოვნოთ აქა, წლის გასულს არაფერი დაგრჩებათ. სიმშილი და ჯავრი ოქროს მძებნელთა სხვა-და-სხვა ბოროტებას იწვევს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობამ შემდეგი გამოაცხადა: „ამ ჟამად ისეთი გაჭირვებაა ალიასკაზედ, რომ იქ წასვლა ძლიერ საშიშია. ადამიანი ვერაფერს იშოვნის. წელს მაინც ძლიერ საშიშია წასვლა ამ ქვეყანაში ოქროს საძებნელად. გზაზე სულ 5 კვირა დასჭირდება კაცს და მანამ იქ მივა, ზამთარი დადგება კიდეც. ზამთარი აქ ძლიერ სუსხიანი იცის და 8 თვეს გასტანს ხოლმე. ამიტომ კარგი იქმნება ვისაც აქ უნდა წასვლა, აპრილამდე მაინც მოითმინოს. ამასთანავე ვაფრთხილებთ ყველას, რომ თუ ძლიერ ჯან-საღი კაცი არ არის, ფიქრადაც ნუ გაიტარებს იქ წასვლას, რადგანაც ძლიერ ბევრი განსაცდელი მოელის იქა.

ეს რჩევა ძლიერ კარგია, მაგრამ საქმე ის არის, დაიჯერებს ხალხი ამ რჩევას, თუ არა. ეს-კი აშკარაა, რომ აქ ძლიერ ბევრნი სიმდიდრეს მაგიერად თვისს სამარეს მიაგნებენ. მარტო ვინც მდიდარია, ის თუ აიტანს ყველაფერს ნაკლულევანებას. მაგრამ ეს ხომ კანონია არსებობისათვის ბრძოლისა.

## სასამართლოს მატიანე

თავ. კ. ი. მუხრანსკისა და პლიუშჩევსკის საქმე.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან ეს საქმე. კერძო ვექილი პლიუშჩევსკი თავ. კ. ი. მუხრანსკის ედავება 98,750 მან. 2 ოქტომბერს ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ და თავ. მუხრანსკის ვექილს ბ-ნ გუნცაძეს შვიდის დღის ვადა მისცეს, რომ წარედგინა საბუთები იმ პირობის სიყალბისა, რომლითაც ბ-ნი პლიუშჩევსკი ედავება ფულს იმის რწმუნებულს. ამის შესახები ქაღალდი ნაფიცს ვექილს გუნცაძეს უკვე წარუდგენია სასამართლოსათვის.

ამ არზაში იგი, სხვათა შორის, სწერს, რომ თავ. ი. კ, მუხრანსკისათვის სრულიად საჭირო არ იყო პირობის წერილში ჩაეწერა სრულიად უაზრო ადგილები, რაც ეხლა ამ დავას მიზეზად გაუხდაო. გაუგებარია, რად ჩააწერინებდა თავ. ი. კ. მუხრანსკი, რომ ვითომ ბ-ნი პლიუშჩევსკი ვექილი იყო ყველა საქმეში ჩემის ცოლისა და შვილისაც ათს წელიწადზედ მეტს ხანს, რომ ზოგიერთი მის მიერ წარმოებული საქმე დიდად სასარგებლო იყო ჩვენთვისაო, მაშინ როდესაც არც ერთი საქმე, ვექილის მიერ წარმოებული, არა ყოფილა ესოდენ სასარგებლო და ღირს-შესანიშნავი. თვით ასეთ წარმოებულ საქმეთა რაოდენობა ძალიან მცირეა და მათ შორისაც მხოლოდ სამი საქმეა ისეთი, რომელიც ოლქის სასამართლოს განსახილველი იყო; ამას გარდა ბ-ნი პლიუშჩევსკის თავ. მუხრანსკის ყველა საქმე არ უწარმოებია, იმისს საქმეებს აწარმოებდა აგრეთვე კერძო ვექილი ტრაფიმოვი, მამულებს განაგებდა თეთრაძე და თვით თავ. მუხრანსკისაც არა ერთხელ უწარმოებია თითონვე სასამართლოში თავისი საქმე. შემდეგ ბ-ნი გუნცაძე მიაქცევს სასამართლოს ყურადღებას იმ გარემოებაზედ, რომ პირობის წერილში არ არის მოხსენებული დრო მისის დაწერისა. როგორც პირობის შინაარსიდგან ა სჩანს, ასე უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი დაწერილია 1882 წელს; ხოლო თუ ამ აზრს დავადექით, მაშინ მომჩივანი ამ პირობის წერილს ამ წლის 23 ივნისამდე არ დაჰფარავდა, რადგან ათის წლის ვადის გასვლის გამო რამდენისამე წლის სადგომის ქირად დაპირებული ფული ეკარგებოდაო.

ეგ საეჭვოდ გამოცხადებული პირობის წერილი ბ-ნ პლიუშჩევსკის თავ. ი. კ. მუხრანსკისაგან არა აქვს მიღებული და არცა არსებობდა იგი 1882 წლის მაისამდე. თვით პირობა ამ ვალდებულებისა დაწერილია იმ დროს, როდესაც პლიუშჩევსკი თავ. თუმანოვის სახლში სცხოვრობდა, სადაც იგი 1884 წლის სექტემბრის თვეში გადასულა. ამ პირობის გადამწერს ანდრია პეტრეს ძეს მოხნაჩოვს შეუძლიან აღნიშვნა როდის არის იგი დაწერილი; უთქვამს კიდეც ეს ამბავი მოხნაჩოვს საპატიო მომრიგებელ მოსამართლის ალექსანდრე ივანეს ძის სავანელისა, ნაფიცის ვექილის ი. ს. ტერ-სტეფანოვისა, თავ. გ. ნ. დიასამიძისა და პროვიზორის მ. ნ. აღმუროვისათვის, რომ ვიცი, როდესაც არის დაწერილი პირობაო. გთხოვთ ეს აქ დასახელებულნი კაცნი დაიბაროთ მოწმედ. მაგ პირობაზედ თავ. ი. კ. მუხრანსკის ხელი არ მოუწერია: ეგ ხელ-ნაწერი რომ შეადაროთ განსვენებულის სხვაგან ხელ-მონაწერებს, დარწმუნდებით, რომ იგი განსხვავდება თავ. ი. მუხრანსკის ხელისაგანაო.

ამის გამო ნაფიცი ვექილი გუნცაძე სთხოვს სასამართლოს: 1, საეჭვოდ აღიარებულის პირობის წერილის დაწერვის დრო იქმნას გამორკვეული და ამისათვის მოხნაჩოვსა და ზემოდ დასახელებულთ მოწმეებს ეკითხოს; 2, შემოწმებულ იქმნას პირობის წერილის შინაარსი ტფილისის სამოსამართლო პალატასა და ტფილისის ოლქის სასამართლოში წარმოებულ თავ. ი. კ მუხრანსკის საქმეებთან; 3, გამოკვლეულ იქმნას, პირობის წერილი თავ. ი. კ. მუხრანსკისაგან არის ხელ-მოწერილი თუ არა, და 4, ეს ვალდებულების ქაღალდი ყალბად ცნობილი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** „მთავრობის უწყება“-ში გამოქვეყნებულია ანგარიში იმ კომისიისა, რომელსაც უნდა გამოერკვია 18 მაისს 1896 წელს ხოდილის მინდორზედ დაღუპილთა პიროვნება და შემწეობა აღმოეჩინა დაღუპილთა და დაშავებულთა ოჯახებისათვის იმ ფულიდგან, რომელიც უმაღლესად იქმნა შეწირული.

**დარმშტადტი.** იმპერატორი ვილჰელმი მოვიდა აქ. სადგურზედ ხელმწიფე დახვდა.

**ლაკკარტის სიმაგრე.** გენერალ ვაგსას დივიზიამ დარგაისს სიმაგრე აილო, რომელსაც ორაქსეები და აფრიდიები იცავდნენ. ინგლისელებს საშინელი ცეცხლი დაუშინეს და ჰფიქრობენ, რომ ინგლისელებმა ძალიან ბევრი კაცები დაჰკარგესო.

**ბერლინი.** ელჩი ბულოვი გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტრად იქმნა დანიშნული.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ივლიანე ქინქლაძეს, რომელმაც გადმოგვცა მის მიერ შეკრებილი ქ. ბათუმში 32 მ. 45 კ. ფულად და რამდენიმე ცალი ქართული წიგნი ღირებული 11 მ 5 კ. ნაგომრის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ *).

სია შემომწირველთა: დიმიტრი ჭელიძემ 50 კ., ილიკო ლეჟავამ 30 კ., ანტონ მუჯირიმ 50 კ., მოსე კეჭაყმაძემ 50 კ., ივლიანე ქინქლაძემ 2 მ., ნიკო ცეცხლაძემ 1 მ. 20 კ., ლავრენტი ხუნგიამ 50 კ., სილიბისტრო ტოროტაძემ 50 კ., № 50 კ., კოსტანტინე ნინიძე 50 კ., ლადიკო ცქვიტინიძემ 50 კ., ერასტო ალასანიამ 20 კ., გიორგი დუმბაძემ 50 კ., დათა ებრალიძემ 30 კ., ქიზვარდი ნიკოლაიშვილმა 1 მ., თეიმურაზ თოფურიამ 1 მ., № 1 მ., ერმილე გეგენავამ 50 კ., № 50 კ. მაქსიმელ ცინცაძემ 60 კ., ნესტორ სიხარულიძემ 40 კ., გერასიმე ხუროძემ 50 კ., ნესტორ მეგრელიშვილმა 40 კ., ბებურა ჩხაიძემ 50 კ. ამბაკო ნაცვალაძემ 50 კ. სამსონ სვანიძემ 40 კ., ბარისო ცაგარეიშვილმა 50 კ., ვასილ ქორჩელავამ 50 კ., არსენ მესრაფიშვილმა 40 კ., ლუკა ქარცივაძემ 40 კ., პლატონ კალოიანმა 40 კ. რაჟდენ ტუღუშმა 40 კ., გრიგოლ ჩიტავამ 1 მ., ვლადიმერ თომაშვილმა 25 კ., სერგო დონაძემ 30 კ., № 5 კ., სამსონ წულისკირმა 20 კ., ბეჟან ჟორდანიამ 50 კ., სიმონ ჯაყელმა 1 მ., № 20 კ., გიორგი წიტაიშვილმა 50 კ., ივანე ცხომელიძემ 20 კ., ივლიანე ტოკვმა—50 კ., დათა კარეგიშვილმა 10 კ., თედორე სირაძემ 20 კ., № 10 კ., გიორგი თოიძემ 50 კ., იულო ძნელაძემ 10 კ., ვლადიმერ რამიშვილმა 10 კ., სიმონ მეგრელიშვილმა 15 კ., № მეგრელიშვილმა 10 კ., ვლადიმერ ნიკურაძემ 15 კ., ლევან იმნაძემ 20 კ., სოლომონ მამალაძემ 20 კ., № 30 კ., იაგორ ლომჯარიამ 20 კ., ანტონ იმნაძემ 50 კ., ლევანტი ცინცაძემ 25 კ., ფილიპე კალანდაძემ 20 კ., კონსტანტინე გორგილაძემ 5 კ., ელიაზარ ყოჩიკაიშვილმა 5 კ., № 5 კ., მალაქი ჭელიძემ 15 კ., ბესარიონ ჯღენტმა 1 მ., ერასტო გოგუაძემ 40 კ., ეფრემ ჟღენტიმ 50 კ., ეზეკია ტყეშელაშვილმა 20 კ., № 30 კ., ექვთიმე გოგოტაძემ 1 მ., ივანე ჯღენტმა 1 მ., თეოფილე გოგიბერიძემ 40 კ., ნესტორ ჯღერიამ 40 კ., ლასა სარჯველაძემ 50 კ., თავართ. და მიქ. წ. მაღ. 11 წ.—1 მ., მოსე ჭელიძემ 4 წ.—30 კ., ს. კალანდარიშვილმა ალ. ყაზ. მე-III ტ.—1 მ. 20 კ., სარდიონ დუმბაძემ 2 წ.—80 კ., რაჟ. ქინქლაძემ „კალმასობა—1 მ., ლავრენტი ბერძენიშვილმა წიგნები—55 კ., ზაქარია ჭიჭინაძემ წიგნები—3 მ., მიხ. გაჩეჩილაძემ წიგნები—1 მ., გ. ლომაძემ „კალმასობა“—1 მ., ვლ, სალუქვაძემ „დავითიანი“—1 მ. და იაკინთე სარდაძემ წიგნები—20 კ.

დამაარსებელნი: გრ. გუგუნავა, ნ. გეგელაშვილი

*) ბოდიშს ვიხდით საზოგადოების წინაშე, რომ მადლობის გამოცხადება დავაგვიანეთ.


## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება 1 წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |


Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Октября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.